

## საქართველოს კანონი

### „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების და ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები №21-22, 1994, მუხ. 455) შეტანილ იქნას შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. კანონის მე-2 მუხლს დაემატოს 2<sup>1</sup> პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„2<sup>1</sup>. ამ კანონით განსაზღვრულ სამეწარმეო ამხანაგობას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი, კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა, რომლის მიზანია სამეწარმეო საქმიანობა.

2. კანონის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. მეწარმესუბიექტის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია  
მეწარმე სუბიექტის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის წესი და პირობები განისაზღვრება „საჯარო რეგისტრის შესახებ“ საქართველოს კანონით.“.

3. კანონის მე-5 - 5<sup>6</sup> მუხლები ამოღებულ იქნას.

4. კანონის მე-6 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთი პარტნიორის სახელს, „სპს“-ის დამატებით. კომანდიტური საზოგადოების საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სულ ცოტა ერთი სრული პარტნიორის სახელს, „კს“-ის დამატებით. თუ სამეწარმეო ამხანაგობაში, სპს-სა და კს-ში გაერთიანებული არიან მხოლოდ იურიდიული პირები, მათი სახელწოდება უნდა შეიცავდეს ერთ-ერთი მათგანის საფირმო სახელწოდებას ამ მუხლში აღნიშნული შესაბამისი დამატებით.

4. პარტნიორთა სახელის გამოყენების შესაძლებლობის გარდა, სამეწარმეო ამხანაგობას, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სააქციო საზოგადოებას, კოოპერატივს შეუძლიათ საფირმო სახელწოდება შეარჩიონ მათი საქმიანობის საგნის მიხედვით, ან შეიძლება ეს სახელწოდება იყოს ფანტაზიის

ნაყოფი; მაგრამ იგი უნდა შეიცავდეს: სამეწარმეო ამხანაგობის შემთხვევაში დამატებას – „სამეწარმეო ამხანაგობა“ ან „სა“, სააქციო საზოგადოების შემთხვევაში – დამატებას „სააქციო საზოგადოება“ ან „სს“, ან „კორპორაცია“; შპს-ის შემთხვევაში – დამატებას „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ ან „შპს“; კოოპერატივის შემთხვევაში – დამატებას „რეგისტრირებული კოოპერატივი“ ან „რკ“. იმ საწარმოს მიმართ, რომლის სახელწოდებაც შეიცავს სიტყვას „საზოგადოება“, „საზოგადოების“ ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს (შესაბამისი სამართლებრივი ფორმის მიხედვით) სიტყვა „კომპანია“. „შპს“-ის ნაცვლად შეიძლება მხოლოდ სიტყვა „კომპანიის“ გამოყენება.“.

5. კანონის მე-7 მუხლი ამოღებულ იქნას.

6. კანონის მე-14 მუხლის მე-9 პუნქტი ამოღებულ იქნას.

7. კანონის მე-16 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საწარმოს შეუძლია დააარსოს ფილიალი, რომელიც არ არის იურიდიული პირი. საქართველოში რეგისტრირებული საწარმოს ფილიალის რეგისტრაცია არ არის სავალდებულო. საწარმოს, ფილიალის დაარსებისას, შეუძლია მისი რეგისტრაციის მიზნით მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს. ფილიალის რეგისტრაცია წარმოებს შესაბამისი საწარმოს რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით.“;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში, მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია ფილიალი (მუდმივი დაწესებულება) გაატაროს რეგისტრაციაში.“.

8. კანონის მე-19 მუხლი ამოღებულ იქნას.

9. კანონის 47-ე მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნას.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 ივლისიდან.

